ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3963431

ნომერი: AR1595068

თარიღი : 24.04.2018

გაცემის თარიღი : 16.05.2018

გაცნობის თარიღი : 16.05.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 79;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით პირველაშვილი პ/ნ 01008042484
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძეს ქუჩა, N 48, ბინა 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 24 აპრილის AR1595068 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქ. N79-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.04.001.228) სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას,

პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლი №1507879 გადაწყვეტილებით ორ საკადასტრო ერთეულზე (#01.12.04.001.145, #01.12.04.001.146) დამტკიცებულია მრავალბინიანი (მრავალფუნქციური) საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სამი ბლოკის მშენებლობა. გაცნობებთ, რომ ტერიტორიის ამ სახით გამიჯვნის შედეგად, მიწის ნაკვეთი რჩება საზოგადობრივი სივრცის გარეშე, შედეგად წარმოიქმნა სამშნებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთი, რაც ქალაქგეგმარებითი თვლსაზრისით, არ არის მისაღები, ამიტომ ასეთი სახის ცვლილების განხორციელება სამსახურ მიზნშეწონილად არ მიაჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2018 წლის 24 აპრილის AR1595068 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.